შეთანხმება # 160/1

2 დეკემბერი, 2016

ერთის მხრივ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #49ა, ტელ.: 2-235-149, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. #GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი-TRESGE22, სკ-204861916), შემდგომში წოდებული `შემსყიდველად" (ცალკე მითითების შემთხვევაში - შემსყიდველი-სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის ტარიელ ხეჩიკაშვილის სახით, მეორეს მხრივ, შპს „სპორტმშენსერვისი" (მის: ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, ახალი სპორტის სასახლე, ტელ.: 565-013-330, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. # GE17BG00000006245707000 სახელმწიფო ხაზინა, კოდი - BAGAGE22, სკ-204878542) შემდგომში წოდებული `შემსყიდველად" (ცალკე მითითების შემთხვევაში - შემსყიდველი-სპორტმშენსერვისი) და მესამე მხრივ, ,,Behlen Industries LP" შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა (მის: 927 DouglasSt. Brandon, Manitoba, R7A 783, Canada) შემდგომში წოდებული ,,მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი ვიცე-პრეზიდენტის და გენერალური დირექტორის შონ ლეპერის სახით, სამივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, შპს „სპორტმშენსერვისი"-სა და ,,Behlen Industries LP" შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობას შორის 2016 წლის 04 ოქტომბრის №160 ხელშეკრულების მე-12 მუხლისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 27 ოქტომბრის #01/1310 ბრძანების საფუძველზე, შევთანხმდით ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილების განხორციელებაზე:

1. **ხელშეკრულების მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შიანარსის 10.8 პუნქტი:**

"10.8. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (ათვლა დაიწყება ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული ვადიდან - 2016 წლის 04 ნოემბრიდან, მაგრამ არაუმეტეს 30 დღით), მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისი საგარანტიო თანხის ღირებულების 0.02% ოდენობით. ამ პუნქტიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მხრიდან 2016 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით, ამ ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2. **ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**

,, 6.2 შემსყიდველი-სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე (ქ. გორში მრავალპროფილიანი მულტიფუნქციური ორდარბაზიანი სპორტის სასახლის საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირებს: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ სამინისტროს შესაბამის თანამშრომლებს ან სათანადო კომპეტენციის მქონე მოწვეულ პირებს (ხელშეკრულების

შესრულებაზე ინსპექტირება შესაძლოა განახორციელოს ინსპექტირების ჯგუფის ნებისმიერმა წევრმა როგორც ცალ-ცალკე, ასევე რამოდენიმემ ერთად). შემსყიდველი-სამინისტრო ქ. გორში მრავალპროფილიანი მულტიფუნქციური ორდარბაზიანი სპორტის სასახლის სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირებას უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციის მომსახურებით (ქ. გორში მრავალპროფილიანი მულტიფუნქციური ორდარბაზიანი სპორტის სასახლის სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირების მიზნით სათანადო ტექნიკური ზედამხედველობის უზრუნველყოფის თაობაზე), რომლის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი-სპორტმშენსერვისი.

3. ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,5.1 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა განისაზღვრება სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებიდან 6 (ექვსი) წლის განმავლობაში, საგარანტიო ვალდებულებები იმოქმედებს შენობის საექსპლუატაციო სახელმძღვანელოში მითითებული პირობების დაცვით, რომელიც დანართის სახით დაერთვება ხელშეკრულებას სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე. მიმწოდებლის მიერ საექსპლუატაციო სახელმძღვანელოს წარმოუდგენლობის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა განისაზღვრება სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებიდან 6 (ექვსი)წლის განმავლობაში"

4. ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,ა)" პირველი ეტაპი - 6 000 000 (ექვსიმილიონი) აშშ დოლარი, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 10 დეკემბრისა და აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი-სამინისტროსათვის შესაბამისი თხოვნისა და შემსყიდველი-სპორტმშენსერვისისთვის უპირობო და გამოუხმობი გარანტიის (მოთხოვნილ თანხაზე) წარდგენის პირობით, ამასთან აღნიშნულ პუნქტზე ხელშეკრულების მე -10 მუხლის 10.4 პუნქტი ამოქმედდება 2017 წლის 01 იანვრიდან.

წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2016 წლის 04 ოქტომბერს გაფორმებული №160 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ეს შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე (სულ ექვსი) ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენებზე (სამი ქართულ და სამი ინგლისურ ენაზე). შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენაზე შედგენილ ვერსიას.

,,შემსყიდველი"	,,შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #49ა ს/კ 204891916 ანგ. # GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	შპს „სპორტმსენსერვისი" ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, ახალი სპორტის სასახლე, ს/კ 204878542 ა/ა # GE17BG00000006245707000 ს/ს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE 22	კანადური კომპანია BEHLEN INDUSTRIES LP 927 Douglas St. Brandon, Manitoba, R7A 783, Canada ს/კ 3977448 ა/ა # 717870142719 Bank of Nova Scotia
მინისტრი --- ტარიელ ხეჩინაშვილი	დირექტორი --- ლევან ტალაყაშვილი	ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი --- შონ ლეპერი